განკარგულება:**გ-17. 17230557**
თარიღი:**24/02/2023**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტის (ქუჩა, ჩიხი) სახელდების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 20/02/2023 წლის N01/349 წერილის შესაბამისად

1. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დაბა ბაკურიანში კობა წაქაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდოს **,,ზაზა ლორიას სახელობის ქუჩა“** თანდართული რუკის თანახმად (დანართი N1, N3);
2. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დაბა ბაკურიანში კობა წაქაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდოს **„ზაზა ლორიას სახელობის ქუჩის I ჩიხი“** თანდართული რუკის თანახმად (დანართი N2, N3);
3. განკარგულება რეაგირებისათვის გადაეგზავნოს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას;
4. განკარგულება, მიღებიდან 10 დღის ვადაში გადაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სახელმწიფო სერვისების განვითერბის სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას;
5. განკარგულება მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე;
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქუჩა № 62).

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი N1

დასამისამართებელი გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს დაბა ბაკურიანი, კობა წაქაძის ქუჩის მიმდებარედ, რომელიც იწყება ნათია კეჭაყმაძის (64.10.08.416) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან, გაივლის შპს „ბაკურიანის რიზორთის (64.30.01.020), რუსუდან ნათენაძის (64.30.07.295), ბ.მ. ამხანაგობა "ბაკურიანი-2006" (64.10.08.352) არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს და სრულდება გიორგი მანაგაძის (64.30.07.429) და ეკა ზუკაკიშვილის (64.30.07.289) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებთან (დანართი N1)



დანართი N2

დასამისამრთებელი ტერიტორია მდებარეობს დაბა ბაკურიანში, ზაზა ლორიას ქუჩის მიმდებარედ, რომელიც იწყება ზაზა ქათამაძის (64.30.01.149) და ნუცა გაბრიჩიძის (64.30.07.479) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს შორის და სრულდება დავით ნებიერიძის (64.10.08.319) და როლანდ შინდელაშვილის (64.30.07.323) არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთბთან.



დანართი N3

წითელი ფერით აღნიშნულია ზაზა ლორიას სახელობის ქუჩა

ლურჯი ფერით აღნიშნულია ზაზა ლირის ქუჩის I ჩიხი